..ბავშვური „მშვიდობის ფიცით“ დამშვენებული უამრავი ნაირფერი ბუშტი აიკრა დღეს დილით ცაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის თავზე. „მიეცით მსოფლიოს შანსი — ბავშვებს მშვიდობა სჭირდებათ“ — ეს კეთილშობილური მოწოდება გახდა დევიზი მშვიდობის დღისა, რომელსაც ტრადიციულად აღნიშნავს საერთაშორისო გაერთიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის გახსნის დღეს.

კოცონისაგან, გამთენიისას რომ გაანაღეს ინდიელებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის წინ მდელოზე, აანთეს იმ პირველი მსოფლიო მშვიდობის გადარბენის ჩირაღდანი, რომელიც კოსტრეტულად გამოხატავს ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას ბირთვულ-კოსმოსური ხანის პირობებში, ამასთან ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსახილველი პრობლემების ყველა ასპექტს.

პირველ პლენარულ სხდომაზე 41-ე სესიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულმა ჰუმაიუნ რაშიდ ჩოუდჰურიმ, ბანგლადეშის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სესიის მონაწილეებს მოუწოდა კოლექტიური წვლილი შემატონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში დაფიქსირებული მიზნებისა და პრინციპების რეალიზაციას, საერთაშორისო მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

გენერალურმა კომიტეტმა სესიას შესთავაზა წინასწარი დღის წესრიგი, რომელიც 143 პუნქტისაგან შედგება. სოციალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფის ინიციატივით გენერალურ ასამბლეას წინადადება მიეცა განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის საკითხი. მისი საფუძვლები მოიცავს როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურსა და ჰუმანიტარულ სფეროებს. სესიას რჩება მიეცა განიხილოს განიარაღების საკითხთა მთელი კომპლექსი, უწინარეს ყოვლისა, საკითხები, რომლებიც ეხება ბირთვული იარაღის ყოველგვარი გამოსაცდელი აფეთქების შეწყვეტას და ბირთვული ბომბდამიდის ყოველსმომცველი აკრძალვის ხელშეკრულების დადებას, ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მისი მარაგის ლიკვიდაციას, კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას.

ღირსეული მაგალითი მთელი მსოფლიოსათვის

სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლა იუნესკოში

პარიზი. მსოფლიო გაერთიანება მოწმეა საბჭოთა კავშირის ფართო მასშტაბის მშვიდობიანი ინიციატივებისა, რომლებიც ესატყვისება ისეთი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობას, როგორც იუნესკოა. თანამედროვეობის მრავალი გლობალური პრობლემის გადაჭრა უშუალოდ არის დაკავშირებული ბირთვული კატასტროფის საფრთხის დაძლევაზე, გამალებული შეიარაღების ალაგმვაზე, რეალური განიარაღების განხორციელებასა და მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარებაზე. ეს აზრი ხაზგასმით აღნიშნა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის (იუნესკოს) აღმასრულებელი სხბჭოს აქ მიმდინარე 125-ე სესიაზე გამოსვლისას იუნესკოს აღმასრულებელი სხბჭოს წევრმა გ. ვ. ურანოვმა.

ამ გაგებით არის ნაკარნახევი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები, ჩვენმა ქვეყანამ რომ წამოაყენა 1986 წელს, იმ წელს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით მშვიდობის წლად არის გამოცხადებული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის 15 იანვრის განცხადებაში წამოყენებულია 2000 წლისათვის ბირთვული და ქიმიური იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის ფართო პროგრამა, მთელი რიგი სხვა პერსპექტიული ხასიათის წინადადებანი. 18 აგვისტოს გამოცხადდა, რომ ერთხელ კიდევ გაუგრძელდა ვადა ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ მორატორიუმს, რომელიც აქამდე წელიწადზე მეტ ხანს მოქმედებდა. საბჭოთა კავშირი სიტყვით კი არა, საქმით ამტკიცებს ბირთვული განიარაღებისადმი ერთგულებას. ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმის დაწესების შემდეგ, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა, სსრ კავშირმა მთელ მსოფლიოს უჩვენა ღირსეული მაგალითი, როდესაც დათანხმდა თავის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების საკონტროლო მოწყობილობის დაყენებას.

იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს მდივანმა რიგმა წევრებმა გამოთქვეს ამ დღეებში წინადადებანი, რომ დაიხვეწოს ორგანიზაციის პრობლემები კულტურის, განათლების, კომუნიკაციების განვითარების დარგში. ინდოეთის, ფილიპინების, ვენესუელის წარმომადგენლებმა მაღალი შეფასება მისცეს იუნესკოს ძალისხმევას მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის იდეების პოპულარიზაციაში. სესიაზე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თანამედროვე კაცობრიობის მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების არასაკმარისმა რესურსებმა. სხდომაზე /გამოითქვა აზრი, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ტერორიზმის ახლანდელი აფეთქება გარკვეულ წილად უკავშირდება სიღატაკის, უწიგნურობისა და სოციალური უთანასწორობის პრობლემებს.

ASE საჭირო, საშური საქმე

მცენარეთა ქიმიური დაცვის თანამედროვე პრინციპები და მათი პრაქტიკული გამოყენების ამოცანები

ლია მოსავლის დანაკარგები. საბოლოო მიზანია მავნებლის პოპულაციის რეგულირება და არა მავნებლის მთლიანად მოსპობა.

მცენარეთა ქიმიური დაცვა მეცნიერების ფუნდამენტურ დარგებს ემყარება. ამასთან ერთად უშუალოდ უკავშირდება აგრონომის ყველა დისციპლინას. ამატომაც მას უდიდესი შესაძლებლობები აქვს, გამოირჩევა დიდი ეკონომიურობთ, რის გამოც მსოფლიოში წამყვანი ადგილი უკავია მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა და მისი პროდუქტების დაცვის საქმეში.

უკანასკნელ ხანს პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა სინთეზური პირეტროიდები, ბუნებრივი პირეტრინების მოლეკულების მოდიფიკაცია. პირეტრინებს სხვადასხვა სახის გვირილა შეიცავს, ყველაზე მეტი რაოდენობით კი დალმაციის გვირილის ყვავილებშია. სინთეზური პირეტროიდების მიღება მრავალი დადებითი თვისების გამო დიდ მიღწევად არის მიჩნეული. ისინი არ აჟუჟყიანებენ გარემოს, გამოირჩევიან სუსტი ტოქსიკურობით, მცირე ხარჯვის ნორმებით და სხვა.

ქიმიურ მეთოდს აქამდე ძლიერ ხშირად მიმართავდნენ როგორც მცენარეთა დაცვის ერთადერთ მეთოდს, დღეს კი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დროს, როცა მავნე ორგანიზმების გამრავლების უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ეს მეთოდი უფრო დაფასდა, გარანტად გადაიქცა. კერძოდ, უაღრესად სასარგებლოა ჰერბიციდების გამოყენება. იგი ტექნიკურად და ეკონომიკურადაც ეფექტიანია. პრაქტიკაში განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ სელექციურ ჰერბიციდებს (ისინი არ აზიანებენ კულტურულ მცენარეებს). ამჟამად მზადდება ჰერბიციდები სპეციალურად ანტიდოტების (შხამის საწინააღმდეგო ნივთიერებები) დამატებით, რათა კულტურული მცენარე არ დაზიანდეს. უშვებენ აგრეთვე ფოთლის ჰერბიციდ, რომლის წვეთები მცენარის ფესვებამდე აღწევს და მთლიანად სპობს სარეველა მცენარეს. გარდა ამისა, იგი მალე იშლება ნიადაგში, არ გროვდება, სასუქებთან ერთად შეტანისას კი მეტად უწყობს ხელს მოსავლის ზრდას. ამას თავის მხრივ ის სიკეთეც მოაქვს, რომ ასუსტებს მინერალური სასუქებით გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს.

ჰერბიციდები აუცილებელია „პირდაპირი თესვის“ დროსაც. ასეთ შემთხვევაში ნაწვერალზე ან კორდიანზე ყოველგვარი მექანიკური დამუშავების გარეშე თესავენ, ოღონდ ნიადაგის დასამუშავებლად აქ წინასწარ შეაქვთ ჰერბიციდები. ასეთი წესი მკვიდრდება საკვები ბალახების დასათესადაც.

ჰერბიციდებს იყენებენ „ნიადაგის მინიმალურად დამუშავებისასაც“, როცა ნიადაგს კი არ აბრუნებენ გუთნით, მხოლოდ მცირეოდენ აფხვიერებენ.

ორივე მეთოდის მიზანია მუშაძალის, საწვავისა და ხარჯის ეკონომია, ნიადაგის პირობების გაუმჯობესება, ქარული და წყლისმიერი ეროზიის რისკის შემცირება, მინდვრის სამუშაოების მაღალი ოპერატიულობა განსაზღვრულ დროსა და ვადებში.

ჰერბიციდების როლს უკეთ გავიაზრებთ, თუ სამხრეთ საქართველოს (მცირე კავკასიონის მესაქონლეობის ზონა) საძოვრების მდგომარეობას მივიყვანთ სამაგალითოდ. ამ ზონაში მრავალწლოვანი აბეზარა სარეველა — მინდვრის გვირილა გავრცელებული. იგი ზაფხულში, ყვავილობის დროს, თვალუწვდენ სივრცეს ისე თეთრად გადაპენტავს, გეგონება მინდორი დაუთოვიაო. ეს ერთი სახეობის მცენარე განსაკუთრებული სიძლიერით წარმოაჩენს ალელოპათიის (მცენარეთა ურთიერთზემოქმედება გარემოში ორგანულ ნივთიერებათა გამოყოფით) ზღაპრულ სურათს ბუნებაში. ჩვენი მდელოსნების დასკვნით, „გვირილამ მდელოების სრული გადაგვარება გამოიწვია“, საძოვრებს გადაუდებლად ჭირდება აღდგენა.

მინდვრის გვირილა ტიპური ანტროპოგენური ფაქტორია. მისი გავრცელებისა და მასთან ბრძოლის ისტორია ძველი რუსეთიდან იწყება. დღეს ეს სარეველა საქართველოში არა ერთ და ორ ათეულ ათას ჰექტარზეა მოდებული. მრავალი წლის მანძილზე კვლევითი მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით წარიმართებოდა. საბოლოოდ პრობლემების შესწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს დაეკალა. ქიმიური ბრძოლის საკითხების დამუშავება დაეკისრა ინსტიტუტის მცენარეთა ქიმიური დაცვის კათედრას, რომელმაც სარეველა-გვირილის ეკოლოგიური ნიშის საფუძველზე და ჰერბიციდების სკრინინგით რეალურად გადაჭრა პრინციპული საკითხები; გადაწყდა გვირილაზე რადიკალურად მოქმედი ჰერბიციდების სელექციურად გამოყენება, რადგან ეს მეთოდი სრულიად არ ავნებს სხვა მცენარეებსა და ცხოველებს, გამორიცხულია გარემოს გაჭუჭყიანებაც. ოღონდაც ეს არის, რომ საძოვრების ტერიტორია მსხვილი ქვებით არის მოფენილი, ამიტომ აქ აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ავიაციის გამოყენება. საჭირო იქნება შესწორების მოდერნიზაცია იგივე ჰერბიციდების გამოყენებით. საერთოდ კი, საძოვრების შემდგომი მოვლა-პატრონობისა თ ვ ი ს აუცილებლად უნდა წარიმართოს კომპლექსური კვლევა-ძიება ბიოლოგიის სფეროში.

იგივე კათედრამ შეისწავლა ჰერბიციდების გამოყენების შესაძლებლობანი ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგოდ ძლიერ შხამიანი ბუჩქოვანი მცენარის — იელის მოსპობის დროს მთავარი კავკასიონის საძოვრებზე (დუშეთის რაიონი). ამ მცენარეს კალოების სახით დაახლოებთ 2000 ჰექტარი უკავია. ყვავილობისას იგი მეტად მომზიდველია, მაგრამ ასევე მეტად მავნეა და ვერაგი. პირუტყვი, რომელიც იელის ფოთლებსა და ტოტებს ჭამს, რამდენიმე საათში კვდება. მიუხედავად ამისა, ამ მცენარესთან ბრძოლაში ადამიანი დიდხანს ვერაფერს გახდა, რადგან მანქანებით ან ბარით მისი ამოძირკვა არ ივარგებდა ნიადაგის მოსალოდნელი ეროზიის შიშით. ასევე საშიში იყო მოჭრაც, ნარჩენები ცხოველების ჩლიქებს დააზიანებდა, თანაც მცენარე ისევ მალე გაიხარებდა, რაკი ფესვები უვნებელი დარჩებოდა. ერთადერთი სწორი არჩევანი ჰერბიციდების გამოყენება იყო...

ზოგიერთი ჰერბიციდი შესხურებისას ადვილად იჭრება მცენარეში, ფესვებშიც ჩადის და სწრაფად მოქმედებს მთლიანად მცენარეზე. როცა მცენარე სრულიად ხმება, ჩნდება კორდი, ამით თავიდან ვიცილებთ ეროზიული პროცესების საშიშროებასაც.

ჰერბიციდებით, აგრეთვე რეალურად გადაიჭრა საკითხი მაღალმთიან საძოვრების სარეველა შხამას წინააღმდეგ; ამ სარეველას დიდი ფართობები უკავია ეროფერ ბუშტი აიკრა დღეს დილით ცაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის თავზე. „მიეცით მსოფლიოს შანსი — ბავშვებს მშვიდობა სჭირდებათ“ — ეს კეთილშობილური მოწოდება გახდა დევიზი მშვიდობის დღისა, რომელსაც ტრადიციულად აღნიშნავს საერთაშორისო გაერთიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის გახსნის დღეს.

კოცონისაგან, გამთენიისას რომ გაანაღეს ინდიელებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის წინ მდელოზე, აანთეს იმ პირველი მსოფლიო მშვიდობის გადარბენის ჩირაღდანი, რომელიც კოსტრეტულად გამოხატავს ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას ბირთვულ-კოსმოსური ხანის პირობებში, ამასთან ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსახილველი პრობლემების ყველა ასპექტს.

პირველ პლენარულ სხდომაზე 41-ე სესიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულმა ჰუმაიუნ რაშიდ ჩოუდჰურიმ, ბანგლადეშის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სესიის მონაწილეებს მოუწოდა კოლექტიური წვლილი შემატონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში დაფიქსირებული მიზნებისა და პრინციპების რეალიზაციას, საერთაშორისო მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

გენერალურმა კომიტეტმა სესიას შესთავაზა წინასწარი დღის წესრიგი, რომელიც 143 პუნქტისაგან შედგება. სოციალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფის ინიციატივით გენერალურ ასამბლეას წინადადება მიეცა განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის საკითხი. მისი საფუძვლები მოიცავს როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურსა და ჰუმანიტარულ სფეროებს. სესიას რჩება მიეცა განიხილოს განიარაღების საკითხთა მთელი კომპლექსი, უწინარეს ყოვლისა, საკითხები, რომლებიც ეხება ბირთვული იარაღის ყოველგვარი გამოსაცდელი აფეთქების შეწყვეტას და ბირთვული ბომბდამიდის ყოველსმომცველი აკრძალვის ხელშეკრულების დადებას, ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მისი მარაგის ლიკვიდაციას, კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებას.

● აზია

ჯოზეფ მაურის დევნა ძლიერდება

ნიუ-იორკი. უშედეგოდ დამთავრდა ჯოზეფ მაურის, „მეხუთეკვინიუელი კაცის“ ცდები, გადაეცა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორ კუომოსათვის პეტიცია, რომელიც შეიცავდა მოწოდებას შეუმსუბუქონ ხვედრი ნიუიორკელ უსახლკაროებს.

წინადღეს გუბერნატორის საქალაქო რეზიდენციაში მას უთხრეს, გუბერნატორი ხვალ იქნებაო. როცა მეორე დღეს მაური მისაღებში მივიდა, დაწვრილებით გამოკითხეს ვიზიტის მიზნები, შემდეგ განუცხადეს, გუბერნატორი „სასწრაფოდ გაეგზავნა“ ოლბანშიო, შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში, თუმცა იმავე საღამოს სიტყვა წარმოთქვა ნიუ-იორკში. პეტიცია, რომელსაც ხელს აწერს ათასობით საბჭოთა მოქალაქე, შეიცავს მოწოდებას ბოლო მოუღონ ღარიბ ამერიკელთა ძალით გამოსახლებას ბინებიდან. ეს ხელმოწერები მაურიმ სსრ კავშირში მოგზაურობის დროს შეაგროვა.

გულოთადს ვერ უწოდებ შეხვედრას, რომელიც მაურის ელოდებოდა გაზეთების სწყობში, სადაც საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე ხანდახან ახერხებდა სამუშაოს მიღებას. ერთ-ერთმა თანამშრომელმა პირდაპირ განუცხადა, აქ სამუშაოს ვერ იშოვი იმიტომ, რომ რუსეთში გაემგზავრეო. დაბრუნების შემდეგ მთელი ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მომცეს უფლება ერთი ცვლა მეშუშავა. აწი რა იქნება, არ ვიცი, თქვა მაურიმ.

მაურის დევნას განაგრძობენ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, არ წყდება აგრეთვე ფიზიკური ანგარიშსწორებით მუქარა. თავდასხმების ობიექტები ხდებიან მისი მეგობრები. ერთ-ერთი მათგანის ვაჟს ემუქრებიან, სამუშაოდან დაგითხოვთ, თუ შენი ოჯახი არ შეწყვეტს „ურთიერთობას კომუნისტთან და მოღალატესთანო“, — თქვა მაურიმ.

● ინდოეთი

გააშვნიეზლს ჯაშუშური ქსელი

დელი. ინდოეთის უშიშროების ძალებმა გააუვნებლეს პაკისტანის დიდი ჯაშუშური ქსელი. გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის“ ცნობით, დააპატიმრეს პაკისტანის სპეცსამსახურების 12 აგენტი, რომლებიც მოქმედებდნენ პენჯაბის, ჯამუსა და ქაშმირის, რაჯასთანის, გუჯარეთის შტატებში და ინდოეთის მთელ რიგ სხვა რაიონებში. დაკითხვების დროს დამნაშავეებმა უჩვენეს, რომ ჯაშუშური ცნობების შეგროვებასთან ერთად ისინი აპირებდნენ ვითარების დესტაბილიზაციას ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში. ამ მიზნით ისინი კონტაქტებს ამყარებდნენ სიკ ექსტრემისტებთან, რომლებიც გამოხდომებს აწყობდნენ პენჯაბის შტატში.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ 41-Ე ᲡᲔᲡᲘᲐ

● ᲜᲘᲙᲐᲠᲐ�გᲣᲐ

სოფლის დიქტატორულმა რეჟიმმა მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა სახალხო განათლებას. მოქალაქეთა 60 პროცენტზე მეტი უწიგნური იყო, ხოლო ხინოტეგიისა და მატაგალპის დეპარტამენტებში ფაქტობრივად წერა-კითხვა არ იცოდა მთელმა სოფლის მოსახლეობამ.

გამარჯვებული სანდინისტური რევოლუციის ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო უფასო განათლების თაობაზე. ათასობით მოხალისე გაეგზავნა სოფლად, რათა ცოდნა მიეცათ გლეხებისა და ინდიელებისათვის. ერთი წლის შემდეგ უწიგნურობა ქვეყანაში 12%-მდე შემცირდა, გაიხსნა ახალი სკოლები, ტექნიკუმები. მომდინარე სასწავლო წელს 900 ათასამდე ახალგაზრდა ნიკარაგუელმა შეავსო სკოლის კლასები, ლაბორატორიები, სახელოსნოები. სკოლებისა და კოლეჯების კარი გაიღო რესპუბლიკის ყველა კუთხეში, მათ შორის ქვეყნის ჩრდილოეთშიც, სადაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შეკოწწებული სომოსელთა ბანდები მოსახლეობის დასაშინებლად კლავენ მასწავლებლებს, უწიგნურობის აღმოფხვრის კამპანიის მონაწილეებს, წვავენ სკოლებს.

სურათზე: გაკვეთილი მანაგუის ერთ-ერთ სკოლაში.

ᲐᲓᲬ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

წინ ახალი შეხვედრებია

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲕᲠᲐ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲗᲘ

ნიუ-იორკი. კონცერტი უკვე დიდი ხანია დამთავრდა, ნიუ-იორკის ცნობილ „მეტროპოლიტენ-ოპერის“ დარბაზში კი არ წყდება ტაში და აღტაცებული შეძახილები „ბრავო“. ასე გამოეთხოვნენ საცეკვაო ხელოვნების ნიუიორკელი მოყვარულები საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ტუმრებს — სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. ა. მოისეევის ხელმძღვანელობით.

ნიუ-იორკში დამთავრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში განთქმულის საბჭოთა კოლექტივის ხანგრძლივი გასტროლების მხოლოდ პირველი ეტაპი. გასტროლები კი ნოემბრის დამლევამდე გასტანს. მან მკაფიოდ ცხადყო, რომ ამერიკელები უდიდესი ინტერესით ეკიდებიან საბჭოთა კულტურის მიღწევებს და მიესალმებიან ხანგრძლივი შესვენების შემდეგ საბჭოთა კავშირ-ამერიკის კულტურული ურთიერთობის განახლებას. თუმცა ადგილობრივმა რეაქციამ სცადა ჩაეშალა საბჭოთა მსახიობების ამერიკელებთან ეს შეხვედრა (პირველი კონცერტის დროს დარბაზში ააფეთქეს ცრემლსადენ-გაზიანი ბომბი), მაგრამ ანსამბლის გამოსვლებს მუდამ წარმატება სდევდა თან.

„მეტროპოლიტენ-ოპერაში“ ანსამბლი 11-ჯერ გამოვიდა, — თქვა საკლესის კორესპონდენტთან საუბარში ელისონ დიქსონმა, კომპანია „ელ-აი პარტნერსის“ წარმომადგენელმა, რომელმაც ი. ა. მოისეევის ანსამბლის ტურნე მოაწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში.— და ყოველთვის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ბილეთები პრაქტიკულად მაშინვე იყიდებოდა. ჩვენი აზრით, ეს უდიდესი წარმატებაა“.

გასტროლებს ასეთივე დიდი შეფასება მისცეს თვით ყველაზე მომთხოვნმა ნიუიორკელმა კრიტიკოსებმაც. „მოისეევის მიერ დადგმული ცეკვები ახლა უკვე კლასიკა გახდა, — წერდა კერძოდ გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“. — დადგმის მაღალმა ქორეოგრაფიულმა დონემ, შემსრულებელთა ვირტუოზულობამ ანსამბლი ყველაზე ცნობილი საცეკვაო კოლექტივების რიცხვში ჩააყენა“.

ახლა საბჭოთა ხელოვნების ოსტატები ამერიკის პატარა ქალაქ სკენექტადიში ჩავლენ, რომელიც ნიუ-იორკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. შემდეგ ეწვევიან ბოსტონს, ლოს-ანჯელესს, ჩიკაგოს, მინეაპოლს, ვაშინგტონსა და ქვეყნის სხვა ქალაქებს, სადაც მოელით ახალი შეხვედრები ამერიკელ მაყურებელთან.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲠᲨᲘ

18 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეზიდენტრში გაიმართა ბრიფინგი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს წარმომადგენელმა ჟურნალისტებს ინფორმაცია მიაწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესიაში სსკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის მონაწილეობის შესახებ. საბჭოთა მინისტრს დაძახული პროგრამა ექნება. 19-20 სექტემბერს გათვალისწინებულია მოეწყოს პასუხსაგები მოლაპარაკება ვაშინგტონში. იქვე გაგრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან უკვე ტრადიციად დამკვიდრებული საუბრები საერთაშორისო ხასიათისა და ორმხრივი ურთიერთობის ფართო წრის სასკითხთა გამო.

ნიუ-იორკში ე. ა. შევარდნაძე შეხვდება სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებს. ე. ა. შევარდნაძის გამოსვლა სესიაზე ნავარაუდევია სამშაბათს, 23 სექტემბერს.

საბჭოთა მინისტრის სამუშაო კალენდრით გათვალისწინებულია შეხვედრები და საუბრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან პერეს დე კუელიართან, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრთან, მექსიკის პრეზიდენტთან, კიპროსის პრეზიდენტთან, ინგლისის, იაპონიის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, იტალიის, ინდოეთისა და სხვა სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

ჟურნალისტებს გააცნეს ისრაელის მხარისაგან შემოსული შესაბამისი წინადადება ნიუ-იორკის შეხვედრის თაობაზე, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, როგორ გადაწყდება ეს საკითხი, ვინაიდან უნდა გაირკვეს ზოგიერთი დეტალი, განაცხადა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

30 სექტემბერ-3 ოქტომბ ე რ ს ე. ა. შევარდნაძე ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა კანადას ამ ქვეყნის მთავრობის მიწვევით. დასახულია ე. ა. შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი მექსიკაში.

ბრიფინგის მონაწილეებს გააცნეს ახლახან დამთავრებული ოფიციალური ვიზიტის შედეგები, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ვ. ტალიზინმა. უკანასკნელი 20 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე ეს ასეთი დონის პირველი ვიზიტია ჩინეთში. კერძოდ, როგორც აღინიშნა, ჩინეთის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადეს, რომ ვლადივოსტოკ-ში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა შეიცავს მთელ რიგ ახალ პოზიტიურ ელემენტებს, რომლებსაც ისინი მიესალმებიან.

„დანილოფის საქმის“ გამო კითხვებთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა მხარე ისწრაფვის ამ შემთხვევამ არ შეუშალოს ხელი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას. ჩვენი აზრი ასეთია: საჭიროა ეს საქმე დინჯად წარვმართოთ, ვერიდოთ სიტუაციის დრამატიზებას.

პასუხი გაეცა ჟურნალისტთა სხვა შეკითხვებსაც. (საკდესი).

პრგუმენტები და რეალობა

რიგის მახლობლად იურმალაში მიმდინარე საბჭოთა და ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრის მეორე დღეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი დადგა დღის წესრიგში. პლენარულ სხდომაზე, რომელიც 16 სექტემბერს გაიხსნა, განიხილეს გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის პრობლემები.

ნემსი არ ჩავარდება ზღვისპირა ქალაქის საზაფხულო თეატრში. მაგრამ დამსწრეთაგან ბევრს აშკარად გაუცოცა იმედი მოხსენებამ, რომელიც გააკეთა ამერიკელმა პუბლიცისტმა, წიგნის „მოძალადინებელი გამბიტების“ ავტორმა ს. ტელბოტმა.

სამე მარტო ის კი არ არის, რომ ორატორი შეეცადა ზერელედ წარმოედგინა ფაქტები, არამედ მთავარია ნთქვამიდან გამოტანილი დასკვნები. აი ისინიც:

ბირთვული გამოცდების მორატორიუმი არარეალისტური წინადადებაა. შეიარაღებისადმი კონტროლი რთული და ამიტომაც ნაკლებ რეალურია.

— პირადად მე მომბეზრდა ზღაპრის მოსმენა საბჭოთა სამხედრო უპირატესობის, საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხის წინაშე ამერიკის დაუცველობის შესახებ... — გაუზიარა დამსწრეთ შთაბეჭდილებანი ერთ-ერთმა მსმენელმა, რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომატმა ევგენი ფიოდოროვმა. — ვფიქრობ, თქვა მან შემდეგ, — თავად ამერიკელებს, რომელთა უმრავლესობაც ესწრაფვის საბჭოთა ადამიანებთან გულახდილ და კონსტრუქციულ დიალოგს, არ აკმაყოფილებს მოხსენების ირგუმენტები.

თითქოს ამ სიტყვების დასტურად დარბაზიდან გაისმის გულმოსული რეპლიკა ინგლისურად: — ჩვენ გვსურს მოვისმინოთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის რეალური გზების შესახებ ნთქვამი. გვეყო ზოგადი სიტყვები!.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელი გენერალ-პოლკოვნიკი ნ. თ. ჩერვოვი, რომელიც მხოლოდ ერთ რამეში დაეთანხმა თავის ამერიკელ ოპონენტს. დიახ, განიარაღების პრობლემა რთულია. მაგრამ არა იმდენად, რომ მასში შეუძლებელი იყოს გარკვევა.

სსრ კავშირი ხელმძღვანელობს იმით, რომ ბირთვულ კოსმოსურ ხანაში საჭიროა ახალი მიდგომა უშიშროების საკითხებისადმი. საბჭოთა კავშირისა და

მწერალი და დრო

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სრულიად სახალხო ბრძოლაში მხატვრული სიტყვის ოსტატების ადგილის, ლიტერატურული ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების გზების შესახებ ნაყოფიერი დისკუსიის ტრიბუნა გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც 15 სექტემბერს გაიმართა.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციციშვილმა.

მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა. ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებზე, მის პრობლემებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში პროზაიკოსებმა, პოეტებმა, კრიტიკოსებმა, გამომცემლობათა მუშაკებმა.

ბოლო დროს ქართულ ლიტერატურაში შეიქმნა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც ფართოდ აღიარეს მკითხველებმა. რესპუბლიკაში თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ძირითადი ნიშანია თანამედროვეობის პრობლემების მრავალმხრივი დაფარვა ასახვა, რომელიც ეროვნების ხალხის ისტორიის აქტიურ მხატვრულ ქრონიკას. იქმნება თემატიკით, ჟანრით, სტილით განსხვავებული ნაწარმოებები, რომელთა მეოხებითაც ლიტერატურა ასრულებს თავის სოციალურ-ესთეტიკურ ფუნქციებს. მაგრამ პარტია, ჩვენი ხანა მხატვრული სიტყვის ოსტატთა წინაშე უფრო სერიოზულ და მასშტაბურ პრობლემებს აყენებს. ქვეყანაში მიმდინარეობს გარდაქმნა, რომელიც არა მარტო აჩქარებს ტემპს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა რგოლში, არა მარტო ღრმავდება და ფართოვდება მისი ეკონომიკური და ფილოსოფიური შინაარსი, იგი თანდათანობით ეუფლება ხალხის ცნობიერებას, ცვლის ადამიანების ფსიქოლოგიასა და აზროვნებას. ლიტერატურა მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ საქმეში. იგი გულგრილი ვერ დარჩება ჩვენი სინამდვილის საჭირბოროტო პრობლემების ამსახველი სიუჟეტებისადმი:

პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო ლიტერატურული კრიტიკის, გამომცემლობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ეროვნული ლიტერატურების თანამეგობრობის პრობლემებს. გამოითქვა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა სწორ და დროულ შესრულებაზეა დამოკიდებული რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესება.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. (საქინფორმი).

ბრეშ ბრინის ახლადნილი ოცნება

წიგნებით კი არა, უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიაში პირადად გაიცნეს თბილისელმა სტუდენტებმა გამოჩენილი ინგლისელი მწერალი გრეშ გრინი. იგი საბჭოთა კავშირში მეზუთედაა. მწერალი თავის მდივანთან კლოტა ივონთან ერთად ეწვია მოსკოვს, ლენინგრადს, თბილისსა და სოხუმს.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტში საუბარი წარიმართა გ. გრინის მშობლიურ ენაზე და მშობლიურ თემაზე — ლიტერატურაზე.

პირველობას მე-20 საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში მწერალი უსიტყვოდ ანიჭებს ჯეიმს ჯოისს, თუმცა აღიარებს, რომ ამ ავტორის გაგება ადვილი არ არის.

საკუთარი ლიტერატურული გემოვნების შესახებ შეკითხვის პასუხად გ. გრინი საყვარელ წიგნებს შემდეგი თანამიმდევრობით აწყობს: შექსპირი, რაღა თქმა უნდა, ა. ჩეხოვი, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და მე-19 საუკუნის პოეტი რ. ბრაუნინგი.

იმას, თუ რა აღელვებს ინგლისური ლიტერატურის პატრიარქს თანამედროვე მსოფლიოში, ყველაზე უკეთ მოწმობენ მისი ნაწარმოებები. რომანის „წყანარი ამერიკელის“ მოვლენები, მაგალითად, ვიეთნამში. პიესის „ენძელზე ფაშისტურ დიქტატურას გულისწყრომით გმობს მეორე რომანი „კომედიანტები...“ დღეს მწერლის, ისე როგორც მილიონობით პროგრესული ადამიანის ყურადღება მიპყრობილია ლათინური ამერიკის კონტინენტისაკენ — მისი ცხელი წერტილების — ნიკარაგუისა და სალვადორისაკენ. მწერალი არ ეთანხმება ამ ქვეყნებში ოფიციალური ვაშინგტონის პოლიტიკას, მთლიანად ემხრობა დანიელ ორტეგას მთავრობის მოქმედებას. მისი ცხოვრების, და მაშასადამე ლიტერატურის მთავარი ინტერესია ბრძოლა ყველა თავისი გამოვლინებით, რა თქმა უნდა, აღიარებს გ. გრინი, მასზე გავლენა მოახდინეს ისეთ პოლიტიკურ ფიგურებთან შეხვედრებმა, როგორიც არიან ხო ში მინი, ს. ალიენდე, ფ. კასტრო.

საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას კი, ვადა გაუგრძელოს ბირთვული იარაღის გამოცდების ცალმხრივ მორატორიუმს, მწერალი კატეგორიულ შეფასებას აძლევს.

— მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად გავიგეთ პოლიტიკაში საღი აზრის ხმა.

შთაბეჭდილებების შესახებ ტრადიციულ კითხვას მწერალმა ასე უპასუხა:

— ჩემი ოცნება ახდა: ვნახე საქართველო! მართალია გამჭრიახი ცისფერი თვალები ეშმაკურად უციმციმებს — ვერ იტყვი, რომ ასაკი მოგზაურობისათვის მთლად შესაფერისი იყოს (ავტორი 82 წლისა გახდა). მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

(საქინფორმი).

ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში

რწმენით იარ, იარ, იარ! მტკიცე გკონდეს ბიჯი.
ყოველ ნიმუზე კლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი.

18 სექტემბერს საბჭოთა არმიის პირველი გვარდიული ნაწილების შექმნის 45 წლისთავია

ხსოვნა, გაცოცხლებული ქვაში

საბჭოთა გვარდიის 45 წლისთავის დღისათვის № გვარდიული ნაწილის სამხედრო ქალაქში აღიმართა მონუმენტის თხუთმეტმეტრიანი სტელა. იგი აგვირგვინებს მემორიალურ კომპლექსს, რომელიც ნაწილს იუბილეს დღისათვის უძღვნეს თვით მეომრებმა — იმათი დიდების მემკვიდრეებმა, ვისაც 1941 წლის სექტემბერში მიენიჭა გვარდიელის წოდება.

— როგორც კი ნაწილის ზღურბლს გადმოვაბიჯე, — თქვა მემორიალის პროექტის ავტორმა გვარდიის რიგითმა ირაკლი ნარმანიამ, — უმალ „დავაადდი“ იდეით ქვაში ამესახა ომისდროინდელ თანაპოლკელთა გმირობა.

ირაკლი სპეციალობით არქიტექტორია, არმიაში სამსახურამდე დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. თავისი ფიქრები მან გაუზიარა ამ უმაღლესი სასწავლებლის სხვა კურსდამთავრებულებსაც, რომლებიც მასთან ერთად გადიან ვადიან სამხედრო სამსახურს — არქიტექტორ მ. მახარაძეს, მხატვარ რ. თორდიას, მოქანდაკეებს ი. სიხარულიძესა და ი. ცისკაძეს, დიზაინერ გ. რურუას. სარდლობამ მხარი დაუჭირა გვარდიის რიგით ჯარისკაცებს, შემოქმედებით ჯგუფში გაერთიანა ისინი, უზრუნველყო მასალებით. დღისით ახალგაზრდა მეომრები სამხედრო სამსახურს ასრულებდნენ, თავისუფალ დროს კი — საღამოობით — შემოქმედებას ანდომებდნენ.

ესკიზებში, ფანქრით გაკეთებულ ჩანახატებში გამოცადეს მომავალი სკულპტურული კომპოზიციის მრავალი ვარიანტი. მზა პროექტი წარუდგინეს ნაწილის ვეტერანთა საბჭოს. მისი თავმჯდომარე თვიდანვე ყურადღებით ადევნებდა თვალს ჯგუფის მუშაობას, რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა.

და საფრონტო დიდების ხეივანი, სადაც საბჭოთა კავშირის იმ 26 გმირის ბიუსტი დგას, რომლებიც აღიზარდნენ ამ სამხედრო კოლექტივში, დაამშვენა მონუმენტმა. აქ ქვაშია აღბეჭდილი ბრძოლების ფრაგმენტები, დამზობილი რაიხსტაგი, გვარდიელების მიერ განვლილი საბრძოლო გზა.

მემორიალის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მადლობა გამოუცხადეს იმ მებრძოლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამასწინანდელ წვრთნაში, ერთმა მათგანმა — „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერმა, გვარდიის პოდპოლკოვნიკმა იური მინინმა მოისმინა მადლობის სიტყვები, რომლებიც წარმოთქვეს მამამისის — ზემდეგ თეოდორე მინინის ძეგლის წინ. ზემდეგმა მთელი ომის მანძილზე ამ ნაწილში იმსახურა, ვენაში დუნაის ხიდის განაღმვაში მონაწილეობისათვის მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მისმა შვილმა, რომელიც 18 წელია მსახურობს ამ სახელგანოქმულ ნაწილში, მიიღო მილოცვები თ. მინინის თანამებრძოლებისაგან — ნაწილის ვეტერანებისაგან. სამასზე მეტი ვეტერანი ჩამოვიდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მშობლიური სამხედრო ნაწილის იუბილეს ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ძებნა

სოფლის ქუჩაში მოულოდნელი შეხვედრა გახდა იმ მოვლენათა კვანძი, რომელმაც მწვანეკუდიან მეომრებთან ერთად აღმოჩნდა საზღვრისპირეთის მრავალი მცხოვრები.

...კოლმეურნე შაპირ ბეჟანიძეს ფეხი სტკიოდა, მაგრამ იმ დღეს, სისხამ დილით, სანამ მზე მთებიდან ამოიწვერებოდა, მაინც გადაწვიტა მინდორში სამუშაოდ წასულიყო. განთიადის ნისლში მან ვეიაცის სილუეტი შენიშნა, უნდოდა მისალმებოდა თანასოფელელს, მაგრამ, როდესაც მიუახლოვდა, შაპირმა დაინახა უცნობი კაცი, რომელმაც საუბარს თავი აარიდა, და საზღვრისპირა ზონაში ბუნებრივ კითხვაზე — დოკუმენტები გვიჩვენეთო — თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ნატეხი ფეხის გამო კოლმეურნე ვერ დაედევნა ნისლში მიმალულ უცნობს. როცა შ. ბეჟანიძის სიგნალზე სოფელში მესაზღვრეები მოვიდნენ, მათ სოფლის განაპირას აღმოაჩინეს ზურგჩანთა, რომელშიც დიდი რაოდენობით სურსათი და თბილი საცვლები ეწყო.

პარტიის საზღვრისპირა რაიკომში შეიქმნა ძებნის შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები ბ. შაიძე და ტ. ნიკარაძე. ამასთან ერთად ასეთივე ორგანო ამოქმედდა მეზობელ რაიკომშიც. მასში გაერთიანდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები ი. ხიმშიაშვილი, ა. ჯიბლაძე, ვ. მამულაძე, შ. მაკარაძე და სხვები.

მესაზღვრეებთან ერთად ორივე შტაბმა შეადგინა რაზმელების მორიგეობისა და პატრულირების გრაფიკები. დააყენეს საგუშაგოები, ინსტრუქტაჟს უწევდნენ მორეული სოფლების მცხოვრებლებს და მწყემსებს. მესაზღვრეთა მოხალისენი თანაშემწეები აკონტროლებდნენ ყრუ ბილიკებს, მთის ნაკადულებზე გადასასვლელებს. მოდიოდა ცნობები საზღვრის დამრღვევის გამოჩენის თაობაზე. იგი ლიდურია. მაგალითად, განთიადის მცხოვრებმა ა. ბოგოლიანმა ერთბაშად მიიღო ექვსი კაცი და თითოეულს დღე-ღამეში არომეოდა 4 მანეთსა და 30 კაპიკს საწოლისათვის. ამასთან მან გულუბრყვილო დამსვენებლებს ჩაწერისათვის კიდევ თითო მანეთი წაღლიტა. ამ დაბაში მეორე კერძო პანსიონატიც არის, რომლის მფლობელია რ. კრბაშიანი. შემოწმების დროს მის სახლში საწოლებს ქირაობდა ერთდროულად 18 დამსვენებელი.

დღე-ღამის განმავლობაში დაარაჯობენ ბინების გამქირავებელი დისახლისები სამგზავრო დარბაზს ადლერის აეროპორტში, „ნადირობენ“ დამსვენებლებზე. აეროპორტის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებამ, რომელიც 30 კილომეტრზე მეტით არის დაშორებული აფხაზეთს, ამას წინათ გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ზომების მისაღებად გადაუგზავნა ინ 60 განსაკუთრებით აბეზარი დისახლისების გამო შედგენილი ოქმები, რომლებიც ადამიანებ და ათენებენ ადლერში, ოღონდ ბინის გაქირავებით უშრომელი შემოსავალი მიიღონ. მათ შორის არიან გაგრელი ს. აგოზიანი, განთიადელი თ. ხუციშვილი, მ. ტრეტიაკოვა და სხვები.

— საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული კომისიის მარტო ერთ, ბოლო სხდომაზე, — თქვა გაგრის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსმა დ. რაფავამ, — სხვადასხვა თანხით დაჯარიმდა 60-მდე კაცი. ასე რომ, კერძო მესაკუთრე გამომძალველთა მიმართ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებებს ვახორციელებთ. მაგრამ ეს არ კმარა. უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გამიზნულმა ახალმა კანონმდებლობამ მეტი როლი მიანიჭა პროფილაქტიკას და გააფართოოვა სპეციალიზებული ფასებში ბინის გაქირავებისათვის სასჯელის შესაძლებლობანი, რომელიც ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევასაც კი ითვალისწინებს. ჩვენი ამოცანაა სწორად გამოვიყენოთ კანონით მონიჭებული შესაძლებლობანი.

— დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას სამართალდაცვითი ორგანოები. ამით ისინი არა მარტო წვლილს შეიტანენ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში, არამედ დაეხმარებიან ფირმა „დასვენებას“, უფრო სწრაფად დადგეს ფეხზე.

ფირმას კი დახმარება სჭირდება. კერძო პირთა კონკურენციის მიუხედავად, „დასვენება“ სეზონის განმავლობაში ემსახურება სულ ცოტა 200 ათას დამსვენებელს. სხვადასხვა მომსახურებას უწევს მას ზომიერი ანაზღაურების საფასურად. უზრუნველყოფს მათ ბინით, კვებით, მკურნალობით, ექსკურსიებით, გასამგზავრებელი ბილეთითა და სხვა სიკეთით, რაც შედის საკურორტო სერვისში.

მაგრამ ჯერ კიდევ სუსტია ახალი ფირმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ტრანსპორტით უზრუნველყოფა. „დასვენების“ ყოველწლიური მოგება მის განმტკიცებას ხმარდება. მაგალითად, შარშან ბალანსით მოგებამ მიაღწია 332 ათას მანეთს. შეაბამისად დღეს ფირმა განსხვავდება შარშანდელისაგან. მაგრამ მთლიანად ჩამოყალიბების პერიოდი აქ არ დამთავრებულა, ამიტომ ქალაქის ხელისუფალნი, სამართალდაცვითი ორგანოები მოვალენი არიან დაეხმარონ ფირმას უკანონო კერძო პანსიონატების მფლობელების წინააღმდეგ ბრძოლაში, აღკვეთონ არაჯანსაღი კონკურენცია.

თ. ჯიბუტი.

გზა გადავუკეტოთ უშრომელ შემოსავალს

ფირმა „დასვენების“ კონკურენტები

ფოტო-აპარატით ბუნების წიაღში, ადამიანებთან

მოუსვენარი ხალხია ფოტორეპორტიორები. და, ალბათ, სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა მათი საქმიანობა. მაშ ვინ უნდა ალბეჭდოს ფირზე ჩვენი ბუნების თვალწარმტაცი ხედები? ადამიანები — თავიანთი ყოფა-ცხოვრებითა და შრომით?

რედაქციის დავალებებს რომ ასრულებს, რეპორტიორი ისე, „თავისთვისაც“ გაიჩხაკუნებს ხოლმე აპარატის საკეტს და მერე სხვადასხვა

კონკურსზე თუ ფოტოგამოფენაზე მშვენიერების მოწმეს გაგვხდის.

საკონფორმის რეპორტიორს ლ. გუსოვსაც აღუბეჭდია ფირზე ეტიუდები. ერთი — სოფლის უხუცესს წარმოგვიდგენს, რომლის ნაამბობს გაფაციცებით უსმენენ ნორჩი მთიელები. მეორე სურათს „მთის მდინარის ნაპირთან“ ჰქვია, მესამეს კი — „სოფლის ღობესთან“.

— — ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲒᲘᲜᲓᲝᲙᲘᲗ ᲙᲐᲚᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

დღეს თბილისში, ლენინგრადსა და ბაკურიანში აწყობა საბჭოთა-კავშირის ქალთაბურთელ ვაჟთა 54-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური. **თბილისში** სპორტის სახასლის სარბიელი დაეთმობათ თბილისისა და მოსკოვის დინამოელებს, რიგის ვეფსა და ვილნიუსის „სტატებას“. **ლენინგრადში** ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადის „სპარტაკი“, კუუნასის „ეალგორისი“, დონეცკის „შახტიორი“ და კიევის ასკ. **მინსკში** იასპარეზებენ მინსკის რტი, ცსკა, კიევის „სტროიტელი“ და ალმა-ათის ასკ.

პირველ ტურში ჩვენთან ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „დინამო“-რიგის ვეფი და თბილისის „დინამო“-ვილნიუსის „სტატება“.

ᲙᲚᲐᲕ ᲧᲐᲘᲛᲘ

რიგაში, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების არტურ იუსუპოვისა და ანდრია სოკოლოვის მატჩი, 16 სექტემბერს გაიმართა მეექვსე გადადებული პარტიის დამთავრება. 52-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიშია 4:2 იუსუპოვის სასარგებლოდ.

ᲡᲐᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

მოსკოვის სპორტულ კომპლექს „ოლიმპიურში“ სსრკ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე წყალში მსტრომელთა შეჯიბრების პირველ დღეს წარმატებით იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა 17 წლის გიორგი ჩოგოვაძემ, რომელმაც სამმეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა (555,24 ქულა). სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული ამ სახეობაში მოიპოვა მინსკელმა ალექსანდრე გლადჩენკომ (588,12 ქულა), მეორე ადგილზე გავიდა მინსკელი ალექსი კოგალევი (574,92).

მოსკოვის ოლიმპიური ცენტრის საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთელთა ფინალური ასპარეზობანი. საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი მოსკოვის ძლიერ კოლექტივთან გამართა. საინტერესო დაძაბული შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით — 11:9. მეორე ტურში საქართველოს წყალბურთელების მეტოქე იყო აზერბაიჯანის ნაკრები, ჩვენმა ნაკრებმა შეხვედრა აღმავლობით წარმართა და გაიმარჯვა ანგარიშით 12:8. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა-ლენინგრადი — 12:7, ყაზახეთი-მოსკოვი — 7:9.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო პირველობის 35-ე ტურის მატჩები. ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს ლანჩხუთის „ბურიას“ გასვლითი მატჩი ჰქონდა ვოლგოგრადში ადგილობრივ „როტორთან“. მატჩი დამთავრდა „როტორის“ გამარჯვებით ანგარიშით 4:2, ბათუმის „დინამომ“ უმასპინძლა „ფაკელს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1, სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „კუზბასი“-„დუგავა“ — 4:0, ხაბაროვსკის ასკ-„ატლანტასი“ — 2:0, „ისკრა“-როსტოვის ასკ — 0:0, „შინიკი“-„უბანი“ — 1:1, „კოტაიკი“-„ლოკომოტივი“ — 0:0, ცსკა-„სპარტაკი“ — 1:1, „როსტელმაში“-ასკ „კარპატი“ — 4:0, სტავროპოლის „დინამო“-„ნისტრუ — 5:0, „ტოლიატი“-„ფასთაქორი“ — 1:0, „მეტალურგი“-„პამირი“ 3:2.

რუგბი. გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. მოსკოვის გაგარინის სახელობის სამხედრო-საპატრო აკადემიის გუნდმა ორივე შეხვედრაში დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 21:12 და 19:10, შეჯიბრების ლიდერი (სსა) ახლა 5 ქულით უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ მოსკოვის „სლავას“, რომელმაც ბოლო ტურში ორივე შეხვედრა წააგო ქუთაისში ადგილობრივ „შენენბელთან“ 7:9 და 15:17. მესამე ადგილზე გადაინაცვლა ალმა-ათის ასკ-მ, რომელმაც კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროისთან“ პირველი შეხვედრა წაგო ანგარიშით 10:12, ხოლო მეორე შეხვედრაში გაიმარჯვა 19:12.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ

საპასუხო ვიზიტით

დამთავრდა რუმინეთის ქალაქ პიტეშტის ფოლკლორული ანსამბლის „დორულის“ გასტროლები ზუგდიდში. ეს ცნობილი კოლექტივი, რომელსაც მოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, პირველად ესტუმრა საქართველოს. ეს იყო სპასუხო ვიზიტი. ამ ორიოდე წლის წინ „ჩელმა“ უჩვენა თავისი ხელოვნება რუმინელებს. ანსამბლ „დორულს“ 30 წლის ისტორია აქვს. გემოვნებით შერჩეულმა მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა რეპერტუარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ენგურჰესის მშენებლებზე, ნარაზნელ მეჩიეებსა და ინგირელ მექაღალდეებზე.

გამოსამშვიდობებელი საღამო, რომელიც ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა, რუმინელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის დღესასწაულად გადაიქცა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ რუმინული, რუსული და ქართული სიმღერები და ცეკვები.

დამთავრდა გასტროლები, მაგრამ წინ არის მომავალი მეგობრული შეხვედრები.

(საქინფორმი).

სიმღერა იბრძვის მშვიდობისათვის

— **ჩემს** გიტარას სახელად ბრძოლა ჰქვია, — გვაცნობს თავის უცვლელ პარტნორს 28 წლის ჩილელი ლაუტარო ვალდესი. პოლიტიკური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი თბილისში გამართული პირველი საერთაშორისო ტურისტული ფესტივალის „მშვიდობა, მუსიკა, ტურიზმი“ ლაურეატი გახდა.

...ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური წყალსაჯომარდო კომპლექსი. დასკვნითი კონცერტი. სცენაზე გასვლის მოლოდინში ლაუტარო ჩაფიქრებული ეხება სიმებს. სხვათა შორის, ეს ინსტრუმენტი მუსიკალური სკოლის დამთავრების დღეს ბერლინელმა მეგობარმა აჩუქა. მეცხრე წელია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრობს ლაუტარო. ემიგრაციაში ყოფნის დროსაც კი მუსიკოსი თავს სამშობლოს პროგრესული ძალების ჯარისკაცად გრძნობს. როგორც ხუნტის ხელით მოკლული მისი თანამემამულისათვის — მომღერალ ვიქტორ ხარასათვის, მუსიკა მისთვის მარტოოდენ პროფესია კი არა, იარაღია. ლაუტარო ცხრა წლისა იყო, როცა გიტარა აიღო ხელში და არასოდეს დაგიწყებია პაბლო ნერუდას პოეტური ანდერძი: „სიმღერას უნდა ჰქონდეს მგზნებარე გული, აისის თვალები და ქვის მუშტები!“

ლაუტარო ხშირად მართავს კონცერტებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ. მისი სახელი კარგად არის ცნობილი მუსიკოსთა და მშვიდობის მებრძოლთა შორის.

მაყურებელთან შეხვედრა, როგორც მომღერალი ამბობს, მისთვის, ბედის განგებით სამშობლოსგან მოშორებული ყველა პატრიოტისათვის, დიდი მორალური მხარდაჭერაა.

მდიდარი იყო მშვიდობის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი ფესტივალის პროგრამა. ჩვენი ქვეყნის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა მშვიდობის თემას უძღვნეს ჯაზური და ფოლკლორული კომპოზიციები, პოლიტიკური კუპლეტები, წარმოდგენები გამართეს პოლიტიკური სიმღერის თეატრებმა.

მაგრამ ფესტივალზე არა მარტო ლაპარაკობდნენ და მღეროდნენ მშვიდობის შესახებ, მის შესანარჩუნებლად, შეხვედრის მონაწილეთა აზრით, სიტყვები არ კმარა. საჭიროა პრაქტიკული საქმეები. საჭიროა უკეთ ვიცნობდეთ ერთმანეთს — ერთმანეთის ისტორიას, კულტურას, ინტერესებს. და აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას ტურიზმმა, რომელსაც შეუთხეევეთ არ უწოდებენ „მშვიდობისა და მეგობრობის დესპანს“. კანონზომიერია ისიც, რომ ყველა მონაწილე ფესტივალისა, რომლის შემოსავალი მშვიდობის ფონდში გადაირიცხა, საქართველოში ჩამოვიდა საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ბიუროს „სპუტნიკის“ საგზურებით.

(საქინფორმი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

წარმავლობით დაინყეს

ᲗᲘᲐᲢᲣᲠᲘᲡ აკაკი წერეთლის სახელობის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თეატრმა ახალი სეზონი გახსნა.

შარშანდელი სეზონი ურიგო არ იყო — მიღწეული წარმატებებისათვის თეატრი დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წოდელი დიპლომითა და ფულადი პრემიით. დიდგა ექვსი ახალი სპექტაკლი, წარმატებით ჩაიარა გასტროლებმა მეტალურგთა ქალაქ რუსთავში...

— ამჟამად რეპერტუარში 14 დასახელების სპექტაკლი გვაქვს, — თქვა ჩვენთან საუბარში თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ბ. კავთელაძემ, — ვაპირებთ გავმართოთ მაყურებელთა კონფერენციები, სპექტაკლების კვირეულები მაღაროთსამმართველოებში, მთის სოფლებში, ორჯონიკიძისა და საჩხერის რაიონებში, საშეფო სპექტაკლები მოწინავე შრომითი კოლექტივებისათვის. საუკეთესო აქტიორული ნამუშევრებისათვის დავაწესეთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტების — თამარ აბაშიძისა და გრიგოლ ტყაბლაძის სახელობის პრემიები.

ახალ სეზონში თეატრის მთავარი რეჟისორი ლ. სვანაძე იმუშავებს ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“, თ. აბულაშვილის პიესის „სამანიშვილის ქალაქის“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“, ტ. უაილდერის „ჩემი პატარა ქალაქის“ დადგმაზე. ბულგარელი რეჟისორი მ. სტოიანოვი ჩვენს თეატრში დადგამს მ. სტრატიევის პიესას „ბომბის პიჯაკს“. დაიდგმება ჟ. გიბსონის პიესა „ორნი საქანელაზე“, ხოლო ბავშვებისათვის — გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა.“

...ახალი სეზონის გახსნისას თეატრმა მაყურებელს უჩვენა შ. შამანაძის „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“, სპექტაკლი დადგეს ლ. სვანაძემ და კ. ყიფიანმა. მხატვრობა ეკუთვნის ელ. ჯოხაძეს, მუსიკალური გაფორმება — ვ. გოლოვაცკის. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები ნ. კუზმენკო, თ. ირემაძე, ნ. თათიკაშვილი, მ. მანჯაიძე.

ს. კუპატაძე.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია, პოლიტიკური განყოფილება და პარტიული კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, საბჭოთა კავშირის გმირი

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲞᲘᲠᲛᲘᲡᲐᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲩᲕᲔᲜ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

18 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მხატვრული ფილმი „პრეფესია — გამომძიებელი“. II სერია. 10.45 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — დოკუმენტური ფილმი „ადამიანი და ბუნება. 16.20 — კ. სენ-სანსი — კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. ლა მინორი. 16.45 — სტადიონი ყველასათვის. 17.15 — ახალი ამბები. 17.20 — კონცერტი. 18.00 — მოსწავლეთა შეხვედრა გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტთან ი. ი. ლისოვთან. 18.45 — ჩვენი ბაღი. 19.15 — „სიტყვას — საქმე“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.50 — ლიტერატურული ალმანახი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „პრეფესია — გამომძიებელი“. III სერია. 23.50 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. IV კლასი. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 14.20 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ისტორია. 11.35 და 12.35 — ზოოლოგია. VII კლასი. 12.00 — მშობელთა დღე — შაბათი. 13.00 — ეკრანი — მასწავლებელს. ისტორია. VIII კლასი. 13.30 — ასტრონომია. X კლასი. 14.00 — გარემო სამყაროს გაცნობა. I კლასი. 14.50 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ნუ დაიჯერებ, რომ აღარა ვარ“. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „აიღე!“ მოზარდთა სულიერი აღზრდისათვის მშობელთა პასუხისმგებლობის შესახებ. 19.45 — პოეკი. ცსკა — გორკის „ტორპედო“. შესვენებისას — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დ. დ. შოსტაკოვიჩი — № 2 კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. 23.20 — პოეზია. ს. ოსტროვოი. 23.50 — ძიუდო. 0.20 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

18 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — დოკუმენტური ფილმი „გული ძ